სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N98

ქ. რუსთავი 23 აპრილი 2019 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორი გეგი ლიპარტელიანის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი რექტორის ჯემალ ძაგანიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მწვრთნელ -მასწავლებლებისათვის სატრენინგო მომსახურებების შესყიდვა (**CPV80500000**).

2.2 სატრენინგო მომსახურებები ლექცია-დღეში 4-ჯერ .ჯგუფში მსენელთა რაოდენობა 15 კაცი.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1950.00** (ათას ცხრაას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 დაფინანსების წყარო: 2019 წლის საკუთარი შემოსავლები.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს დირექტორი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“** რექტორი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება.

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

„მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2019 წლის 23 აპრილიდან 01 მაისის ჩათვლით.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი,ჭავჭავაძის 49ა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებლის ვალდებულებები:

ა) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ პერიოდში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ (წარმოდგენილი სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის უფროსი)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **2%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

~

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №416314090 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში: #GE24NB0330100200165022	**სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“** ფაქტ.მის:ქ.თბილისი,ჭავჭავაძის 49ა. იურ.მის: ვაკე-საბურთალოს ჩოლოყაშვილის N7. საიდენტიფიკაციო კოდი #205304357. ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ TRESGE22. ბანკის კოდი 709027264.
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი	**სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“რექტორი**
გეგი ლიპარტელიანი	*ჯემალ ძაგანია*
culture youth and sport development center of rustavi municipality Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality Date: 2019.04.23 14:58:12 +04'00'	LEPL Georgian state teaching university of physical education and sport Digitally signed by LEPL Georgian state teaching university of physical education and sport Date: 2019.05.01 17:24:39 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი **23 აპრილი 2019 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ **ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“**-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-სგან** სატრეინინგო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი — გეგი ლიპარტელიანი

culture youth and sport development center of rustavi municipality

Digitally signed by culture youth and sport development center of rustavi municipality
Date: 2019.04.23 14:58:37 +04'00'

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის უფროსი — ევტიხ ხაჩიძე